იმპერიალიზმმა, და უპირველეს ყოვლისა ამერიკის იმპერიალიზ-მა, განაცხადა ორატორმა, ბა-ლანსად საერთაშორისო ვითარება, და ადგას კონფრონტაციისა და ალაბულობის გაძლიერების ბილს. განსაკუთრებულ გულმო-დგინებას იჩენს ანტისაბჭოთა და ანტისოციალისტურ საქმიანობაში ინეთის ახლანდელი ხელმძღვა-ელობა, რომელიც მიესალმება ალაბულობის შენელების წინა-ღმდეგ მიმართულ ყოველ მო-ქმედებასა და ყოველ სიტყვას. ოგორამ იმპერიალისტებისა და ალთი დამქაშების ცდები — სსრ კავშირსა და სოციალისტურ ქვეყ-ნებს ელაპარაკონ „ძალის პო-ზიციიდან“ და ცალმხრივი უპი-ტესობის პოზიციიდან — ამა-ოდ. ამგვარ პოლიტიკას არა აქვს ა არც შეიძლება ჰქონდეს არც ერმატება, არც მომავალი. ჩვენ ალს ვუჭერთ მშვიდობას, კვლავ ანაამბედავრულად ვიბრძვით და-ბულობის შენელებისათვის, განი-ალღებისა და თანამშრომლობი-ათვის, მაგრამ ზეგავლენასა და ატაჟს არ ავყვებით. ჩვენ შე-ეძლია დავიცვათ და დავიცვათ ჩვენი ხალხების, ჩვენი ოციალისტური თანამეგობრობის ინტერესებსა და უშიშროებას.

ჩვენი პარტია, თქვა შემდეგ ტ. ჟივკოვმა, ეგებება თავის XII ყრილობას. შედეგები, რომლებიც ხალხის წინაშე წარვიდგებით, ღირსეული და სასახარულო. ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დღიდან გასული ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე სერიოზულ სიძნელეებს გადავაწყდით. სიძნელეები გვქონდა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზეც.

მაგრამ სიძნელეებს ვძლევთ, ისინი წარსულს ბარდება, ჩვენთან კი რჩება ჩვენ მიერ შექმნილი ბულგარეთი — სოციალისტური ქვეყანა, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ჰყავს მუშათა კლასი, სოფლის მეურნეობის მშრომელები და ინტელიგენცია — პოლიტიკურად მომწიფებული ჩვენი კომუნისტური საქმის სიმართლისა და იმ გზის სისწორეში დარწმუნებული ხალხი, რომლითაც სამშობლო მიჰყავს ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას. ჰყავს ახალგაზრდა თაობა, რომელსაც ჩვენ, სოციალიზმის მშენებლები, რწმენითა და იმედით გადავცემთ კომუნისტური ალმშენებლობის დროშას!

მომავალს გულდაჯერებით და მშვიდად შევყურებთ, თქვა დასასრულ ორატორმა, ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობა და განვითარების სოციალისტური გზა გარანტირებულია ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში მონაწილეობით. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში მონაწილეობა ჩვენი განვითარებისა და აყვავების ფართო შესაძლებლობებს უზრუნველყოფს.

სოციალისტური ბულგარეთის ეროვნული ინტერესები და ჩვენი პატრიოტიზმი სრული ჰარმონიით ერწყმის ჩვენს, როგორც სოციალისტური და პროლეტარული ინტერნაციონალისტების, მოვალეობებსა და სინდისს, ჩვენს მოვალეობას — ვსოლიდარობდეთ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლ ხალხებს.

ამბ. ტ. ჟივკოვმა დამსწრეთ აღუთქვა, რომ ბულგარელი კომუნისტები და ბულგარელი ხალხი ყოველთვის და ყველა ვითარებაში საბჭოთა კომუნისტებთან, საბჭოთა ხალხთან ერთად იქნებიან, ძვირფას საბჭოთა დებისა და ძმების მხარიმხარ იდგებიან.

მისალმებისათვის სიტყვა ეძლევა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. **გ. პლისონიერს**, რომელსაც დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ. მან თქვა: ქვეყნად ხდება უდიდესი ცვლილებანი, რომლებიც დიდ გავლენას ახდენს მთელ მსოფლიოზე. ხალხებმა გააჩაღეს მძლავრი ბრძოლა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის, მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის. სოციალისტური ქვეყნები აღწევენ სულ ახალ-ახალ წარმატებებს, კაპიტალისტურ ქვეყნებში ძლიერდება მუშათა და დემოკრატიული ძალების ბრძოლა, განვითარებად ქვეყნებში ფართოვდება განმათავისუფლებელი მოძრაობა. ყოველივე ეს იწვევს ძალთა თანაფარდობის შეცვლას პროგრესისა და სოციალიზმის სასარგებლოდ მსოფლიო მასშტაბით.

იმპერიალიზმი, რომელიც აწყდება თავისი სისტემის კრიზისს, ყოველ ღონეს ხმარობს რათა წინააღუდგეს ამას. სწორედ ეს არის მის მიერ გაშლილი კონტრიერიშის აზრი, კერძოდ, ბლოკების პოლიტიკისა და დაძაბულობის გამწვავების, ნამდვილი იდეოლოგიური ომის გაჩაღების გზით.

ჩვენ დიდად ვაფასებთ, ხაზი გაუსვა ორატორმა, სოციალისტური ქვეყნების, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის წვლილს, რომელიც მტკიცედ იბრძვის დაძაბულობის შენელების გასაგრძელებისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, ინტერნაციონალური სოლიდარობისათვის. მისი სულ ახალ-ახალი ინიციატივები გამალებული შეიარაღების შეწყვეტის სასარგებლოდ, და უწინარეს ყოვლისა, ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წამოყენებული ინიციატივები შეესაბამება მშრომელი ხალხებისა და მშვიდობის ინტერესებს.

როგორც ყოველთვის, სკკპ ყრილობა დიდ ყურადღებას აღნიშნავს. ფრანგი კომუნისტები სიმპათიის გრძნობით ადევნებენ თვალს თუ როგორ ვითარდება საბჭოთა სოციალისტური საზოგადოება, მიესალმებიან წარმატებებს, რომლებსაც სსრ კავშირი მსოფლიოში პირველ ადგილზე გაჰყავს სხვადასხვა დარგში. განვლილი ხუთწლედი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ახალი ეტაპი იყო.

ყრილობა თავისი მუშაობის ცენტრში აყენებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შემდგომ წინსვლას მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, წარმოებისა და მისი ეფექტიანობის ზრდას. ასეთი ორიენტაცია ხელს უწყობს მთავარი მიღწევის დამკვიდრებას — ხალხის სოციალური და კულტურული მოთხოვნილებების სულ უფრო ფართოდ დაკმაყოფილებას, აგრეთვე მშრომელთა მზარდ მონაწილეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში.

საფრანგეთის სინამდვილე, თქვა შემდეგ მან, სრულიად სხვაგვარია. გლობალურმა კრიზისმა მოიცვა საზოგადოების ყველა მხარე — ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და მორალური. იკვეცება ეროვნული ეკონომიკის მთელი დარგები. საფრანგეთის მთავრობა მონაწილეობს ატლანტიკური ბლოკის პოლიტიკაში. ეს იწვევს მასობრივ უმუშევრობას, ფასების ზრდას, ხვალინდელი დღის რწმენის დაკარგვას; ეს იწვევს დემოკრატიულ თავისუფლებათა ხელყოფას.

ამ რეაქციულ პოლიტიკას მკვეთრ წინააღმდეგობას უწევს საბალხო მოძრაობა, რომელშიც კომუნისტები განმსაზღვრელ როლს ასრულებენ. საფრანგეთის კომპარტია, რომელიც შთააგონებს მშრომელებს იბრძოლონ თავიანთი ინტერესების დაცვისათვის, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, გადაჭრით იბრძვის იმისათვის, რომ მოაახლოვოს ნამდვილი პოლიტიკური ცვლილებების ჟამი, რომლებიც გახსნიან სოციალიზმის გზას.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას ძმობისა და სოლიდარობის აქტიური ურთიერთობა აქვთ. დიდი ხნის ტრადიციებმა, მრავალმა განსაცდელმა გამოაწრთო ეს მტკიცე მეგობრობა. ორი ქვეყნის ხალხების, მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესებისათვის ფრანგი კომუნისტები ისწრაფვიან კიდევ უფრო განავითარონ პარტიათა ურთიერთობა იმ ახალ საფუძველზე, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ განსაზღვრეს ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და ჟ. მარშეს მეთაურობით დელეგაციების 1980 წელს გამართულ შეხვედრაზე, ისწრაფვიან აგრეთვე გაალრავონ სოლიდარობა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისა და განიარაღებისათვის, ხალხების დამოუკიდებლობისათვის, სოციალიზმისათვის მებრძოლ მთელ ძალებთან.

ფრანგი კომუნისტების სახელით ამხ. გ. პლისონიემ საბჭოთა ხალხს უსურვა წარმატებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ დასახულ უდიდეს ამოცანათა გადაწყვეტაში, ხაზი გაუსვა, რომ ეს ხელს შეუწყობს კაცობრიობის საერთო პროგრესს.

დელეგატები და სტუმრები მხურვალედ შეხვდნენ რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხ. **ნ. ჩაუშესკუს**. ჩვენ ცხოველი ინტერესით მოვისმინეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, რომელიც ყრილობას წარმოუდგინა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, თქვა მან. ანგარიშში გაშუქებულია საბჭოთა მშრომელების თვალსაჩინო მიღწევები საქმიანობის ყველა დარგში, აგრეთვე დასახულია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტივები. როგორც თქვენს ახლობელ მეგობრებს, გვახარებს დიდი წარმატებები, რომლებსაც საბჭოთა ხალხმა მიაღწია ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის განვითარებაში, ცხოვრების დონის ამაღლებაში, და სულითა და გულით გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ წარმატებებს.

ჩვენ განსაკუთრებული ქმაყოფილებით ვაფასებთ რუმინეთის კომპარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების გულთბილი მეგობრობისა და სოლიდარობის მზარდ ურთიერთობას, რომელიც ემყარება მეცნიერული სოციალიზმის, მარქსიზმ-ლენინიზმის, სრული თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის, ერთმანეთის საქმეებში ჩაურევლობისა და ამხანაგური ურთიერთგაგების პრინციპებს.

რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის, თანამშრომლობისა და სოლიდარობის შემდგომი და კიდევ უფრო ძლიერი განვითარება ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის ხალხთა პროგრესსა და კეთილდღეობას, ქვეყნად სოციალიზმსა და მშვიდობის საქმეს.

რუმინელმა ხალხმა, რომელიც მოქმედებს რუმინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, თქვა შემდეგ ორატორმა, კარგი შედეგებით დაამთავრა 1976-1980 წლების ხუთწლედი და შეუფდა პარტიის პროგრამის მეორე ეტაპის ამოცანების განხორციელებას ყოველმხრივ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენებისა და კომუნიზმისაკენ რუმინეთის წინსვლისათვის, ეს ეტაპი ითვლისწინებს საწარმოო ძალების განუხრელ განვითარებას მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა ფართოდ დანერგვის, ღრმა აგრარული რევოლუციის განხორციელების, მთელი ხალხის კეთილდღეობის, მატერიალური და სულიერი კულტურის საერთო დონის ამაღლების საფუძველზე.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ საზოგადოების ორგანიზაციისა და მართვის სრულყოფას, სოციალისტური დემოკრატიის განვითარებას, მუშათა თვითმმართველობისა და თვითმეურნეობრობის განმტკიცებას, დემოკრატიული ფარგლების გაფართოებას მუშათა კლასისა და გლეხობის, ყველა მშრომელის აქტიური უშუალო მონაწილეობისათვის პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკის შემუშავებაგანხორციელებაში, საზოგადოების მართვაში. დემოკრატია, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ, ყოველგვარ ბიუროკრატიულ დიმოკრატიზმზე მაღლა დგას, ვინაიდან იგი ემყარება ხალხის ნებას და ემსახურება მხოლოდ ხალხს, მის თავისუფლებასა და ბედნიერებას.

ორატორმა დიდი ყურადღება დაუთმო საერთაშორისო მდგომარეობას, რომელსაც უაღრესად რთული და მწავავე უწოდა, და თქვა, რომ იგი განსაკუთრებით დაიძაბა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსოფლიოში არსებული მდგომარეობა ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, მოითხოვს სოციალისტური ქვეყნების, პროგრესული ძალების სოლიდარობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას.

რუმინეთი აქტიურად მონაწილეობს დიდი პრობლემების გადაჭრაში. ჩვენ ფართოდ ვავითარებთ თანამშრომლობასა და კოოპერაციას სოციალისტურ ქვეყნებთან და, უწინარეს ყოვლისა მეზობლებთან, ამასთან განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ჩვენს დიდ მეზობელთან და მეგობართან — საბჭოთა კავშირთან ურთიერთობას. რუმინეთს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავაც შეიტანოს წვლილი თანამშრომლობაში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში. ჩვენ ვავითარებთ აგრეთვე თანამშრომლობას ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებთან ყოველი იმპერიალისტური აგრესიისაგან თავდაცვის მიზნით.

ცენტრალური პრობლემა, რომელიც დღეს აფიქრებს ხალხებს, თქვა მომძე ქვეყნის ხელმძღვანელმა, — ეს არის გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, განიარაღებაზე, კერძოდ, კი ბირთვულ განიარაღებაზე გადასვლა. მივესალმებით ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საანგარიშო მოხსენებაში გამოთქმულ წინადადებებს ნდობის განმტკიცების, განიარაღების, ყველა სადავო საკითხის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტის შესახებ. ჩვენ მხარს ვუჭერთ იმას, რომ მადრიდის ახლანდელი შეხვედრა მიმდინარეობდეს პოზიტიური სულისკვეთებით და დამთავრდეს კონსტრუქციული შედეგებით, რომ მან ახალი იმპულსი მისცეს მეცადინეობას მთლიანად ჰელსინკის აქტის განხორციელებაში. ჩვენი აზრით, ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა მივაღწიოთ მორიგებას ევროპის კონტინენტზე ნდობისა და უშიშროების განმტკიცებისადმი მიძღვნილი კონფერენციის მოწვევისა და ჩატარების შესახებ, ამავე დროს საჭიროა უზრუნველვყოთ ჰელსინკში დაწყებული პროცესის განგრძობა ახალი შეხვედრების გამართვის გზით.

მტკიცედ მოვითხოვთ ძალის პოლიტიკის ლიკვიდაციას, ახლო აღმოსავლეთში საყოველთაო მშვიდობის დამყარებას, ირანისა და ერაყის კონფლიქტის შეწყვეტას, სახელმწიფოთა შორის ყველა პრობლემისა და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკების გზით გადაწყვეტას.

ამხ. ნ. ჩაუშესკუმ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს ახალი და დიდი მიღწევები უსურვა კომუნიზმისა და მშვიდობის, ჩვენი პარტიებისა და ქვეყნების მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების ნათელ გზაზე.

ამით დამთავრდა სალამოს სხდომა.

25 თებერვლის დილის სხდომა

დილის სხდომას თავმჯდომარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ვ. ვ. შჩერბიცკი**.

სხდომამ მოისმინა სკკპ XXVI ყრილობის სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ ამხ. **ი. ვ. კაპიტონოვმა**.

ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება.

შემდეგ გაგრძელდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშისა და საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში პარტიის მორიგი ამოცანების, აგრეთვე ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშის განხილვა.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ამხ. **ა. პ. ალექსანდროვმა** თქვა, რომ საბჭოთა მეცნიერება დიდმნიშვნელოვანი მიღწევებით შეხვდა პარტიის XXVI ყრილობას. ჩვენ, თქვა მან, დიდი წარმატებანი გვაქვს ფუნდამენტური კვლევის დარგში. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან სწორად ფუნდამენტური მიღწევების მეშვეობით ხდება, უდიდესი ცვლილებები ტექნიკაში, ისახება ადამიანის მოღვაწეობის ახალი სფეროები. ამავე დროს ჩვენმა მეცნიერებამ წარმატებანი მოიპოვა ბიოფიზიკის, ბიოქიმიისა და ბიოლოგიის ფრონტებზე, ეფექტიანი ბიოლოგიური საშუალებებისა და ბიოტექნოლოგიის ბაზის ფორმირებაში, ბიოლოგიური ინფორმაციის ბაზის ფორმირებაში, ბიოსფეროს ეკოლოგიურ-ეკონომიკური ბალანს

პარტიისა და ხალხის დიადი ერთიანობა

(დასასრული)

კიდევ ერთი მაგალითი. ხე-ტყის დამზადებასა და ხერხვას ოლქში მისდევს 25 სამინისტროსა და უწყების სამასზე მეტი საწარმო. მეტი წილი ორგანიზაციები წვრილია. მათი გაერთიანება სსრ კავშირის ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს სისტემაში შესაძლებელს გახდის გამოთავისუფლდეს სამი-ათასამდე მომუშავე; დაიზოგოს მილიონზე მეტი კუბური მეტრი ხე-ტყის პროდუქცია. ანალოგიური მდგომარეობაა საშენ მასალათა მრეწველობაში, სადაც თითქმის ყოველ უწყებას აქვს ან სურს ჰქონდეს საკუთარი ჯუჯა კარიერები.

როგორც საანგარიშო მოხსენებაშია ნათქვამი, სახალხო მეურნეობის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების სრულყოფა ვერ ითქვენს რუტინას. ძალიან სწორია, საკმაოდ ბევრი რამ იკარგება ამის შედეგად.

ორატორმა აღნიშნა, რომ საჭიროა სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებული ღონისძიებების განხორციელების პროცესში დავუბრუნდეთ ყველა დარგში შიდარეგიონალური სპეციალიზაციისა და კოოპერირების გაფართოების, საწარმოო და სამმართველო სტრუქტურების ოპტიმიზაციის საკითხს, გადავწყვიტოთ იგი ტერიტორიულ ასპექტებთან და ადგილებიდან მიღებულ წინადადებებთან უფრო მჭიდრო კავშირით.

სოფლის მშრომელები მთლიანად იწონებენ და ერთსულოვნად უჭერენ მხარს ლენინური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, თქვა ყრილობის ტრიბუნიდან კიროვის ოლქის კოტელნიჩის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის გზის“ თავმჯდომარემ ამხ. **ა. დ. ჩერვიაკოვმა.**

მან დელეგატებს აცნობა, რომ მეათე ხუთწლედისა და 1980 წლის გეგმები მეურნეობამ ვადამდე შეასრულა. არახელსაყრელი ამინდის პირობების მიუხედავად შევძელით ერთთიორად გაგვეზარდა პროდუქციის წარმოება და სახელმწიფოსათვის ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით მიგვეყიდა დიდძალი მარცვლეული, სელის ბოჭკო, ხორცი, რძე. კოლმეურნეობაში ყველა დარგი რენტაბელურია.

მეურნეობის წინაშე მეთერთმეტე ხუთწლედში პასუხსაგები ამოცანები დგას. მათი წარმატებით გადაწყვეტისათვის კარგი ბაზაა შექმნილი. აშენდა მარცვლეულის, სელის თესლის საშრობი და დასამუშავებელი კომპლექსები, მარცვლეულისა და მინერალური სასუქების შესანახი საწყობები, თბილი სადგომები ტექნიკისათვის, სასილოსე-სასენაჟე ნაგებობები, საძროხეები და სახბორეები.

ყოველივე ეს მიღწეულია იმის შედეგად, რომ თანამიდევრულად და მტკიცედ ვახორციელებთ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით მიღებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას რუსეთის სფსრ არაშავმიწანადაგიანი ზონის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

მოწონავე მეურნეობათა პრაქტიკა მოწმობს, რომ არაშავმიწანადაგიან ზონაში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდისათვის დიდი გამოყენებელი რეზერვები და შესაძლებლობებია. სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, კერძოდ, მეურნეობებში მუდმივ მუშაკთა შენარჩუნების პრობლემა. ამიტომ საწარმოო საკითხებთან ერთად ჩვენი პარტიული ორგანიზაცია და კოლმეურნეობის გამგეობა დიდ ყურადღებას უთმობენ სოციალური განვითარების პრობლემებს.

განუხრელად ხორციელდება კოლმეურნეობის განვითარების კომპლექსური გრძელვადიანი პროგრამა. ხელმეორედ გაშენდა ცენტრალური საკარმიდამო, შეიქმნა საჭირო კომუნალური პირობები და ამავე დროს შენარჩუნებულია სოფლის ცხოვრების ყველა უპირატესობა.

მეურნეობის წლითიწლობით იზრდება შრომისუნარიან კოლმეურნეთა რიცხვი. ახლა იგი მთლიანად არის უზრუნველყოფილი საკუთარი კადრებით. პრაქტიკულად შეწყდა მათი დენადობა. ეს დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ საწარმოო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო პრობლემების გადაწყვეტილებები მხოლოდ კომპლექსური მიდგომის საფუძველზე შეიძლება სოფლად კადრების მყარი შენარჩუნების მიღწევა.

ორატორი დაწვრილებით შეეხო მთელ რიგ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტაზე ბევრად არის დამოკიდებული წარმოების შემდგომი განვითარების, მისი ეფექტიანობის ამაღლების ტემპი. მან განიხილა, კერძოდ, სოფლად მშენებლობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სრულყოფის, მესაღლეობის უკეთების გადიდების გზები. დელეგატის წინადადებით, ეს უკანასკნელი პრობლემა უნდა გადაიჭრას აგროარეულ-სამრეწველო ინტეგრაციის საფუძველზე, ამასთან ერთ ხელში იყოს როგორც სელის მოყვანა, ისე პირველადი გადამუშავებაც.

სოფლის მშრომელთა სახელით ორატორმა თქვა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა სახელმწიფოს შუდმივი ზრუნვის პასუხად მინდვრებისა და ფერმების მშრომელები არ დაიშურებენ ძალასა და ენერგიას, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა რაც შეიძლება უკეთ შეასრულონ პასუხსაგები ამოცანები, რომლებსაც სკკპ XXVI ყრილობა დაუსახავს საბჭოთა ხალხს.

ყრილობის დარბაზიდან

მოსკოვი. სკკპ XXVI ყრილობა. საქართველოს სსრ პარტიული ორგანიზაციის დელეგაცია ხხდომათა დარბაზში.

მ. დავითაშვილის და ი. დათიკაშვილის ფოტო (საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო).

ხანგრძლივი ტაშით მიესალმნენ დელეგატები და სტუმრები ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ამხ. **კ. ფომვიხანს.**

საბჭოეთის ძლიერების ზრდა, თქვა მან, ადამიანთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის უდიდესი წვლილი მსოფლიო რევოლუციური პროცესისა და საყოველთაო მშვიდობის საქმეში, შესანიშნავად გამოხატავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ გეზს, საბჭოთა ხალხის ნებასა და შემოქმედების ენერგიას.

იმ პირობებში, როცა ძალების თანაფარდობა მსოფლიოში იცვლება სოციალიზმისა და მშვიდობის სასარგებლოდ, იმპერიალისტებმა და დიდმპყრობელურმა ჰეგემონისტებმა დანაშაულებრივად შეარეს პირი. ისინი აძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას, აშფრავებენ საერთაშორისო დაძაბულობას, ერევიან სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში და იმედი აქვთ, რომ მშვიდობას დაარღვევენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და მთელ მსოფლიოში. ამის გამო, ახლა განსაკუთრებით საჭიროა კიდევ უფრო განმტკიცდეს სოციალიზმის, ეროვნულ-დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და მშვიდობისათვის მებრძოლ ძალებთან კომუნისტური და მუშათა მოძრაობის სბრძოლო თანამეგობრობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც ახორციელებს ლენინურ საგარეო-პოლიტიკურ კურსს, ყოველთვის უკავშირებდა ერთმანეთს სოციალიზმისა და მშვიდობისათვის ბრძოლას. ამავე დროს იგი ყოველთვის მზად არის საკადრისი პასუხი გასცეს იმპერიალიზმისა და საერთაშორისო რეაქციის ყოველგვარ მილიტარისტულ და აგრესიულ ზრახვებს. ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტია, მთელი ლაოსელი ხალხი საგსებით და მთლიანად იწონებენ ამ მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირისა და პირადად თანამედროვეობის გამოჩენილი მოღვაწის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დაუცხრომელ მოღვაწეობასა და სხვადასხვა ინიციატივას, რომელთა მიზანია ამ კურსის განხორციელება.

მთლიანად ვუჭერთ მხარს საბჭოთა კავშირის უანგარო ინტერნაციონალისტურ დახმარებას ავღანელი ხალხისადმი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის მის ბრძოლაში. მხარს ვუჭერთ საბჭოთა კავშირისა და სხვა მომძლე სოციალისტური ქვეყნების მეცადინეობას, რომლის მიზანია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისათვის დახმარების გწევა ქვეყანაში ცხოვრების ნორმალიზაციის, სოციალიზმის მონაპოვრების დაცვის საქმეში. დიდად ვაფასებთ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ხელმძღვანელი მოღვაწეების 1980 წლის დეკემბრის მოსკოვის შეხვედრის შედეგებს.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საბჭოთა კავშირის მიერ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცების შესახებ ლაოსის, ვიეტნამისა და კამპუჩიის ინიციატივის მხარდაჭერა.

ორატორმა მოკლედ ილაპარაკა ლაოსელი ხალხის მძიმე და რთული ბრძოლის შესახებ იმპერიალიზმის, პეკინის დიდმპყრობელური ჰეგემონიზმისა და საერთაშორისო რეაქციის წინააღმდეგ, რომლებიც არაფერს არ თაკილობდნენ, ოღონდ მისი ქვეყნისათვის ზიანი მიეყენებინათ. ჩვენი ახალგაზრდა რესპუბლიკა, თქვა მომძე პარტიის ხელმძღვანელმა, კვლავინდებურად მტკიცედ დგას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში სოციალიზმის მოწინავე მიჯნებზე და სიამაყით შეუძლია ილაპარაკოს თავის პირველ წარმატებებზე სოციალისტური გარდაქმნების განხორციელებაში.

საბჭოეთის პარტია, მთავრობა და ხალხი მუდმივ ყურადღებას უთმობდნენ ლაოსელი ხალხის ბრძოლას და უდიდეს ეფექტიან დახმარებას უწევდნენ მას. საბჭოთა კავშირის დახმარება ჩვენი გამარჯვებების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მიგვაჩნია. ლაოსის პარტიის, მთავრობისა და ხალხის სახელით ამხ. კ. ფომვიხანმა უდიდესი მადლობა უძღვნა საბჭოთა კავშირის პარტიას, მთავრობასა და ხალხს, სხვა მომძე სოციალისტურ ქვეყნებს დახმარებისა და მხარდაჭერისათვის.

ყრილობას მიესალმა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. **ი. ცედენბალი,** რომელსაც დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ. მან თქვა: ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებამ, რომელიც გააკეთა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილმა მოღვაწემ, ერთგულმა მარქსისტ-ლენინელმა, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის დაუცხრომელმა მებრძოლმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკისათვის დამახასიათებელია კომუნისტური პარტიულობისა და მეცნიერული დასაბუთების ერთიანობა მომწიფებული ამოცანების განსაზღვრისა და განხორციელებაში. სწორედ ამ ღირსებით გამოირჩევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში.

სოციალისტური ქვეყნების მზარდ კონსოლიდაციას, თქვა მან შემდეგ, საფუძვლად უდევს მათი მიზნების ერთობლიობა სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში. სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაცია, რომელიც ობიექტურ რეალობად იქცა, ხელს უწყობს უწინარეს ყოვლისა შრომისა და სახსრების დაზოგვას, ახალი საზოგადოების მშენებლობის გამოცდილების ინტერნაციონალიზაციას, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების განვითარებას, წარმოებისა და შრომის სპეციალიზაციისა და კოოპერირების გამართლებული ფორმების გამოყენებას. ყოველივე ეს მომძე სოციალისტური ქვეყნების ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების მატერიალური საძირკველია.

ჩვენ, მოხლოლები, მივდიოდით, მივდივართ და კვლავაც ურყევად ვიცავთ გენიალური მოაზროვნის ლენინისა და დიდი ოქტომბრის მიერ გაკაფული გზით.

სოციალიზმის ქვეყნების საგარეო-პოლიტიკური ხაზს, რომელიც მკაფიოდ აისახა სკკპ XXIV და XXV ყრილობების მიერ მიღებულ მშვიდობის პროგრამაში, თქვა შემდეგ ორატორმა, იწონებს და მხარს უჭერს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი. მაგრამ იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალები ისწრაფვიან ყოველნაირად შეუშალონ ხელი დაძაბულობის შენელების პროცესს, დაუბრუნონ მსოფლიო „ცივი ომის“ ხანას. საერთაშორისო რეაქციის ძალებთან ერთად გამოდის ჩინეთის ახლანდელი ხელმძღვანელობა, რომლის პოლიტიკა და პრაქტიკული მოქმედება მიზნად ისახავს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ჩაშლას, მსოფლიოს სოციალისტური სისტემის გათიშვას, სოციალისტური სახელმწიფოების ძმური ურთიერთობის შესუსტებასა და მათს მთავარ დასაყრდენთან — საბჭოთა კავშირთან და ამ ურთიერთობის ძირის გამოთხრას, პეკინის მიერ რეაქციული მაოისტური კურსის განგრძობა რეალურ საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმესა და სიმშვიდეს არა მარტო აზიაში, არამედ მთელ მსოფლიოში. ამიტომ ბრძოლის იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ, სოციალიზმისა და პროგრესისათვის ჩვენი პარტია განუხრელად უკავშირებს რეაქციული მაოიზმისა და ჩინელ ლიდერთა დიდმპყრობელური ჰეგემონიზმის წინააღმდეგ ბრძოლას.

სულ უფრო ახალ წარმატებებს აღწევენ ეროვნული განთავისუფლებისა და პროგრესის ძალები. ამის დადასტურებაა ანგოლისა და ეთიოპიის ხალხთა გამარჯვებანი, ნიკარაგუისა და სხვა ქვეყნების პროგრესული ძალების წარმატებანი.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის დელეგაციის მეთაურმა გულითადი მადლობა მიუძღვნა ლენინის დიდ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს ფასდაუდებელი ინტერნაციონალისტური დახმარებისათვის, ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის, რომლებიც მონღოლეთში სოციალიზმის წარმატებით მშენებლობის საიმედო საფუძველი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის რევოლუციურ მონაპოვართა დაცვის გარანტიაა.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტია და მონღოლი ხალხი, თქვა დასასრულ ამხ. ი. ცედენბალმა, მუდამ იქნებიან დიდი ლენინის ანდერძის ერთგული, კვლავაც მაღლა ატარებენ ჩვენი მეგობრობის უჭრობ ჩირაღდნს მშვიდობის, სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმის გამარჯვებისათვის.

ყრილობას მიესალმება კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პრეზიდიუმის წევრი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დამინისტრაციული საბჭოს პრემიერი ამხ. **ლი დენ ოკი,** რომელსაც დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

მან გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ ყრილობა ახალი დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იქნება სსრ კავშირის ძლიერების ზრდისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუჯობესებისათვის, პარტიის იდეურ-რევოლუციური განმტკიცებისათვის, მშვიდობის, სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხანგრძლივი ბრძოლის გზაზე.

ლენინის მიერ შექმნილმა საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ — საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების ორგანიზატორმა და შთამაგონებელმა, თქვა შემდეგ ორატორმა, რომელიც მიუძღვის ხალხს და ძლევს უდიდეს სიძნელეებსა და განსაცდელს, ოქროს ასოებით ჩაწერა საბლოვანი ფურცლები ქვეყნის ისტორიაში და დიდი ღვაწლი მიუძღვის ექსპლოატატორებისა და ჩაგრული ხალხების წინაშე.

ორატორი დაწვრილებით შეეხო კორეის შრომის პარტიის, მთელი კორეელი ხალხის ბრძოლას სამშობლოს დამოუკიდებელი მშვიდობიანი გაერთიანებისათვის. ამყამად, აღნიშნა მან, ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებმა, რომლებიც უცვლელად ‘ახორციელებენ მსოფლიო ბატონობის სტრატეგიას, ჩრდილო აღმოსავლეთ აზიის რაიონს მიიჩნევენ თავიანთი სტრატეგიის განხორციელებაში დიდმნიშვნელოვან რგოლად. გამოაცხადეს იგი „თავდაცვის საფრონტო ზონად“, აძლიერებენ სამხედრო ალიანსს ამერიკის შეერთებულ შტატებს, იაპონიასა და სამხრეთ კორეას შორის, ჯიუტად ეწევიან ახალ სამხედრო ზზადებას და ამით უკიდურესად ამწვავებენ ვითარებას შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ აზიაში. ისინი ცდილობენ სამუდამოდ დატოვონ საბჭოთა კორეა ამერიკელი იმპერიალისტების კოლონიად და მათ სამხედრო ბაზად, აგრესიის პლაცდარმად და ომის საწარმოებელ დენთის კასრად.

სამხრეთ კორეის პატრიოტულ, დემოკრატიულ ძალებთან მტკიცედ შეკავშირებულნი ჩვენ ჩაგმელით ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებისა და მისი დამჭაშების ხრიკებს, რომელთა მიზანია ეროვნული გათიშვა, და უთუოდ დავამთავრებთ სამშობლოს გაერთიანების დიად ისტორიულ საქმეს.

ჩვენ მუდამ ვუფრთხილდებით მოძმე საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან და საბჭოთა ხალხთან ტრადიციულ მეგობრობასა და შეკავშირებას საერთო იდეალებისა და მიზნების განხორციელებისათვის ბრძოლაში. ხანგრძლივი ერთობლივი ანტიიმპერიალისტური ბრძოლის დროს ჩვენნი ორი ქვეყნის პარტიებმა და ხალხებმა სისხლით შეადუღაბეს ურღვევი მეგობრობა და ავითარებდნენ ერთმანეთის აქტიური მხარდაჭერისა და მეგობრო თანამშრომლობის ამხანაგურ ურთიერთობას სოციალიზმის, კომუნიზმის საერთო საქმის საკეთილდღეოდ.

კორეის შრომის პარტია, კორეელი ხალხი კვლავაც ძალ-ღონეს არ დაიშურებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან და საბჭოთა ხალხთან მეგობრობის, შეკავშირ ებისა და თანამშრომლობის განსამტკიცებლად ისეთი ახალი აყვავებული სამყაროს აშენების ინტერესებისათვის, სადაც არ იქნება იმპერიალიზმი და კოლონიალიზმი, ექსპლოატაცია და ჩაგვრა.

დასასრულ ამხ. ლი დენ ოკმა განაცხადა: ჩვენი პარტიის უცვლელი საგარეო პოლიტიკაა საერთაშორისო ანტიიმპერიალისტური და რევოლუციური ძალების, მათთან სოლიდარობის განმტკიცება ისეთ ვითარებაში, როცა მსოფლიო იმპერიალიზმის გაერთიანებული ძალები დღითიდღე აატეხურებენ ხრიკებს აგრესიის, სხვათა საქმეებში ჩარევისა და ომის მიზნით, განუხრელად მოვახმართ ჩვენს მეცადინეობას სოციალიზმისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების მიღწევას. აგრეთვე ენერგიულად ვებრძოლებთ, მტკიცედ შევუკავშირდებით მიუმხრობელ ქვეყნებს, კოლონიებში ეროვნულ-განთავისუფლებელ მოძრაობებს, მსოფლიოს მთელ პროგრესულ ძალებს.

ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ა. ე. ვოხი** შეეხო მეათე ხუთწლედში რესპუბლიკის მშრომელთა მიერ მიღწეულ წარმატებებს და ყრილობას აცნობა, რომ გეგმის გადაჭარბებით რესპუბლიკამ გამოუშვა 500 მილიონი მანეთის სხვადასხვა ნაწარმი, რომელთაგან მნიშვნელოვან ნაწილს სახალხო მოხმარების საქონელი შეადგენს. სამჯერ და ტაფად გაიზარდა უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის მოცულობა. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ხარისხის გაუმჯობესებისათვის მუშაობა აღინშნა მოხსენებაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

მეათე ხუთწლედის პოლიტიკურ და სამეურნეო შედეგებს რომ ვაჯამებთ, თქვა ორატორმა, ვიხილავთ, რომ ახალ ხუთწლედში მნიშვნელოვნად გადავაჭარბოთ მიღწეულს. ნაკისრია დაძაბული სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც ითვალისწინებენ რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების დინამიკურ ზრდას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. კიდევ უფრო აქტიურად განვაგრძობთ მუშაობას მეცხოველეობის აღმავლობისათვის, სოფლად ნამდვილად დამკვრელურ ფრონტად მისი გადაქცევისათვის.

საანგარიშო მოხსენებაში დასახულ უმნიშვნელოვანეს ამოცანათა განხორციელება, თქვა შემდეგ დელეგატმა, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციისგან მოითხოვს თავდადებულ შრომას, ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მეთოდების განუხრელ სრულყოფას. პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შრომითი აღზრდას საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა ძმური მეგობრობის სულისკვეთებით. საბჭოთა კავშირის ხალხების მხრივ ძმური მხარდაჭერისა და უანგარო დახმარების, ქვეყნის ერთიან სახალხო სამეურნეო კომპლექსზე საიმედოდ დაყრდნობის გარეშე ლატვია ვერც კი მიუახლოვდებოდა დღევანდელ მიღწევათა დონეს.

შემდეგ ორატორი შეეხო დაგეგმვის კომპლექსურ-მიზნობრივი მეთოდის საკითხებს. გასული ხუთწლედის მანძილზე ლატვიაში შევიმუშავეთ და ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმაში შევიტანეთ 12 კომპლექსურ-მიზნობრივი პროგრამა. ასეთი დაგეგმვა მოიცავს სახალხო მეურნეობის ყველა მთავარ, საკვანძო პრობლემას. მათ შორის მძიმე ხელის შრომის ლიკვიდაციის პრობლემასაც. იგი დარგთშორისია და უზრუნველყოფს სხვადასხვა სამინისტროსა და უწყების მუშაობის კოორდინაციას.

მაგრამ კომპლექსურ-მიზნობრივი პროგრამების განხორციელება ადვილი საქმე როდია. ხელს გვიშლის უწყებრივი დაბრკოლებები, ის, რომ პროგრამები არ არის უზრუნველყოფილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, ბევრი საკავშირო სამინისტრო და უწყება უპასუხისმგებლოდ ეკიდება ღონისძიებათა შესრულებას.

ამ კურიოზამდე მივიდა: მაგალითად, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა აკრძალა ნიუ-იორკში „ერმიტაჟის შედევრების“ გამოფენა! ამერიკის შეერთებული შტატების იდეოლოგიური და პროპაგანდისტული ცენტრები ცდილობენ ამერიკელი ხალხი მთლიანად გამიჯნონ საბჭოთა კულტურისაგან, ორსებითად კი საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ამსახველ სიმართლისაგან. კულტურული ურთიერთობის სფეროში აკრძალვა და დისკრიმინაციული ღონისძიებანი, რომლებსაც უკანასკნელ წლებში ასე ხშირად მიმართავენ პოლიტიკას მიტმასნილი ამერიკელი აფიშისტატორები, მხოლოდ მათი პოზიციების სისუსტეს მოწმობს.

როგორც ცნობილია, დასავლეთის სპეციალური სამსახურები ცდილობენ ყოველნაირად ინსპირირებენ გახდონ არაჯანსაღი გამოვლინებანი ჩვენს შემოქმედებითს გარემოში, როგორც ფაიყონონ საბჭოთა მხატვრული ინტელიგენციის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. მაგრამ რაოდენ გაწაფულიც უნდა იყოს ჩვენი მტრების ფანდები, განცაბადა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა, ჯერ ვერავინ ვერ შეძლო საბჭოეთის შემოქმედებითი ძალები დაეპირისპირებინა თავისი ხალხისათვის, მოეწყვიტა პარტიისაგან. ვერავინ ვერ შეძლო და ვერც ვერავინ შეძლებს! მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებთ, ერმა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდილი საბჭოთა შემოქმედი ინტელიგენცია კვლავაც ივლის ლენინური გზით პარტიასთან ერთად, ხალხთან ერთად!

ტრიბუნაზეა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მდივანი ამხ. **დ. დრაგოსავაცი,** რომელსაც დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ. გვახარებს, თქვა მან, რომ სსრ კავშირის მშრომელებმა, რომლებსაც მეთაურობს კომუნისტური პარტია, რომლის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ვ. ი. ლენინი იყო, მიაღწია და კვლავაც აღწევს დიდ წარმატებებს თავისი დიადი ქვეყნის მშენებლობაში. ლენინმა და ოქტომბერმა გადამწყვეტი გავლენა მოახდინეს კაცობრიობის თანამედროვე ისტორიაზე. ლენინის საქმე ცოცხლობს მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანის გულში, რომლებიც იბრძვიან სოციალიზმის, ხალხებისა და ქვეყნების ეროვნული განთავისუფლების, თანასწორუფლებიანობისა და სუვერენიტეტისათვის.

ოქტომბრის სულისკვეთება და ლენინის მოძღვრება, მშრომელთა და ხალხთა განთავისუფლების იდეები აგრეთვე იუგოსლავიის ხალხთა და ჩვენი რევოლუციური მუშაობა მოძრაობის თანამედროვე ისტორიის შემადგენელი ნაწილია.

ორატორმა დაწვრილებით ილაპარაკა სოციალიზმის მშენებლობის საქმეში იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებებზე. ჩვენი რევოლუცია, ხაზი გაუსვა მან, ექსპლოატაციისა და ჩაგრისისგან მშრომელთა და ხალხთა განთავისუფლებისათვის, სრული დამოუკიდებლობისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ხალხებისა და ქვეყნების მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის, ქვეყნად მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის საყოველთაო ბრძოლის ნაწილია.

იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა, თქვა შემდეგ სტუმარმა, წარმატებით ვითარდება ბელგრადისა და მოსკოვის 1955 და 1956 წლების დეკლარაციებსა და იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის ბერლინის ბჭეებზე დამკვიდრებული პრინციპებით, რომლებიც მიღებულია ამხანაგების ი. ბროზ ტიტოსა და ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრების შედეგად. ამ შეხვედრებმა დადებითი გავლენა მოახდინა იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარებაზე.

შეეხო რა საერთაშორისო ვითარების საკითხებს, ამხ. დ. დრაგოსავაცმა აღნიშნა: გამვლილი წლების მოვლენები დამაჯერებლად ადასტურებს, რომ დაძაბულობის შენელების პროცესი შეესებამება ყველა ხალხის საარსებო ინტერესებს. და დღეს, როცა ეს პროცესი კრიზისს განიცდის, დაძაბულობის შენელების პოლიტიკას არა აქვს პოზიტიური ალტერნატივა. დაძაბულობის შენელება უნდა გაგრძელდეს მსოფლიოს ყველა რაიონში, საერთაშორისო ურთიერთობის ყველა დარგში ყველა ქვეყნის მონაწილეობით. იგი უნდა გახდეს უნივერსალური მსოფლიო პროცესი. ეს ახლანდელ პირობებშიც მშვიდობისა და აქტიური მშვიდობიანი თანაარსებობის განმტკიცების ერთადერთი გზაა, ყველა ქვეყნისა და ხალხის თანამშრომლობისა და უშიშროების გზა. და თანამედროვე საერთაშორისო პირობებში მიუხმრობლობის პოლიტიკასა და მოძრაობას, რომლის მონაწილე ქვეყნების პირველი კონფერენცია გაიმართა ბელგრადში 20 წლის წინათ, როგორც საერთაშორისო ურთიერთობის დამოუკიდებელ ბლოკგარეშე ფაქტორს, დიდი წვლილი შეაქვს მშვიდობის, თანასწორუფლებიანი საერთაშორისო თანამშრომლობისა და დაძაბულობის შენელების, ყველა ქვეყნისა და ხალხის დამოუკიდებლობისა და თავისუფალი განვითარებისათვის ბრძოლაში.

ჩვენი ქვეყანა სხვა მიუმხრობელ ქვეყნებთან ერთად ფართო აქტიურობას ავითარებს ამ მიმართულებით და იღვწის მიუმხრობლობის მოძრაობის ერთიანობისა და ქმედითუნარიანობის განმტკიცებისათვის მისი ფუძემდებელი პრინციპებისა და მიზნების საფუძველზე.

ახალი შემართვაგი, მეგობრებო!

საპატიო ნიშნის ორდენებით „ახალგაზრდა კომუნისტსა“ და „მოლოდიოჟ გრუზიას“ ჯილდოვდებულ ორგანოთა ფურცლები



გუშინ მკითხველმა ჩვენულებრივად მიიღო თავისი საყვარელი გაზეთები „ახალგაზრდა კომუნისტი“ და „მოლოდიოჟ გრუზია“... დიახ, ჩვენელებრივად, მაგრამ სათაურებთან ერთად შენიშნავდა საპატიო ნიშნის ორდენების გამოსახულებებს. ეს მაუწყებელი იმისა, რომ ჩვენი ახალგაზრდული გაზეთები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მრძანებულებით სწორედ ამ ორდენებით დაჯილდოვდნენ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების შესრულებისათვის და მის დასაჩუქრებად გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის.

მდიდარი და სახელოვანი გზა განვლეს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ამ მებრძოლმა ორგანოებმა. გაზეთები „ახალგაზრდა კომუნისტი“ და „მოლოდიოჟ გრუზია“ ახალი თაობის საბჭოთა საქართველოს ტოლი არიან, მაგრამ მუდამ ახალგაზრდულად, ჭაბუკურად, იყენენ შემართული, როგორც მოზარდი თაობის ყურადღებიანი და ერთგული მეგობრები, როგორც რესპუბლიკის კომპარტიის საიმედო თანაშემწენი ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში.

ბუნებრივია, რომ ჩვენი პარტიისა და მთავრობის მიერ გაზეთების ღვაწლისა და ამაგის ესოდენ დაფასება სახეხარულია არა მარტო მათი სარედაქციო კოლექტივებისათვის, არა მარტო მთელი რესპუბლიკური კომკავშირული ორგანიზაციისათვის, ახი თანხობით ქალიშვილისა და ჭაბუკისათვის, არამედ უფროსი თაობებისთვისაც, რომლებიც სულით და გულით არიან დაინტერესებული ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემებით, მათი ნათელი მომავლისათვის ზრუნვით და თვითონაც ორივე გაზეთის აქტიური მკითხველები არიან.

დიე, „ახალგაზრდა კომუნისტისა“ და „მოლოდიოჟ გრუზიის“ სარედაქციო კოლექტივებს კიდევ უფრო შემოქმედებითად, საზრიანად და მიზანმიმართულად ეღვაწოთ ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდისათვის, იმ დიდი და კეთილშობილური ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებსაც სკკპ XXVI ყრილობა დასახავს.

ᲧᲐᲒᲐᲖᲘ

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. გუშინ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გამართა კიდევ ერთი საკონტროლო მატჩი. აბჯარად თ